სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/157

ქ. თბილისი

4 ოქტომბერი 2024 წ.

ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფესორ, დოქტორ ანდრეას არნდტის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 4 ოქტომბრის № 01-05-04/26 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ჰეგელის საერთაშორისო საზოგადოებას შორის წარმატებული ურთიერთთანამშრომლობის განვითარებისთვის, სტუ-ს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სასწავლო და კვლევითი პროცესის ინტერნაციონალიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, საერთაშორისო ფორუმებზე ქართველი სტუდენტების მხარდაჭერისთვის, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფესორ დოქტორ ანდრეას არნდტს მიენიჭოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**